პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 14 (6575)
20 იანვარი. 1980 წ. კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## «განთიადის» დარბაზებში

• • •







სურათებზე: მარცხნიდან — თავისუფალ ჭიდაობაში მორიგ მეცადინეობას ატარებს მწვრთნელი გ. მაზმიშვილი, ხალიჩაზე არიან ჯ. ზუბიაშვილი და ი. გოლაშვილი; დ. ხიზამბარელი მითითებას აძლევს მ. გოგელიძეს; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ი. ხატიაშვილი მოკრივეებთან გაკვეთილზე.

ჯ. ლომაძის ფოტოები.

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპორტულ კომპლექსში განსაკუთრებით ხალხმრავლობაა დღის მეორე ნახევარში, როცა დედაქალაქის საშუალო სკოლებში მეცადინეობა მთავრდება. ყოველდღიურად აქ ჭიდაობის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტული სკოლის თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის, ძიუდოს ჯგუფებში, აგრეთვე, ძალოსნობის, კრივის, ველოსპორტის, ქართული ჭიდაობისა და სამბოს ბავშვთა ჯგუფებში 600-ზე მეტი მოზარდი მეცადინეობს გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით. ისინი 62 ჯგუფში არიან განაწილებულნი.

ჯგუფები ჯგუფებს ცვლიან. ზოგიერთ სახეობაში 10 წლის ასაკიდან იწყებენ წვრთნას, მაგრამ საკმაოდ შეხვდებით უფრო დიდებსაც. ძირითად მასას კი 13-18 წლის მოზარდები შეადგენენ.

სპეციალიზებულ სპორტსკოლაში, რომელსაც ე. თვალჭრელიძე უძღვება, ბავშვებისთვის ვარჯიშის ყველა პირობაა შექმნილი. შარშან ამ სკოლამ 5 სპორტის ოსტატი, 24 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 31 პირველთანრიგოსანი აღზარდა.

კარგად იმუშავეს ველოსპორტის ჯგუფებმა, რომლებმაც რესპუბლიკას ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 2 სპორტის ოსტატი შემატეს. მოკრივეთაგან ერთი სპორტის ოსტატი გახდა, სამბისტებიდან ეს ნორმატივი სამმა მოჭიდავემ შეასრულა. ყველაფერი ეს გამოცდილი მწვრთნელების ო. შოშიტაშვილის, კ. პაგარელოვის, ი. ხატიაშვილის, დ. ხიზამბარელის და სხვათა დამსახურებაა.

ზამთარია. ცივა, მაგრამ „განთიადის" სპორტულ კომპლექსში ხალხმრავლობაა. აქ ოსტატდებიან დედაქალაქის სკოლების მოსწავლენი, რომლებიც რესპუბლიკის ნაკრებს თანდათან ავსებენ.

**ლ. გელაშვილი.**

# ემზადებიან მოსკოვის ოლიმპიადისთვის

## მოუთმენლად ელოდებიან

**დელი.** ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი სუვენირების უდიდესი კოლექცია მოაგროვა ქალაქ ლუდხიანას (პენჯაბის შტატი) მცხოვრებმა რ. გუპტამ. მისი ბინის კედლებზე გაკრულია ცნობილი სპორტსმენების ფოტოსურათები, წინა ოლიმპიური თამაშების ამსახველი პლაკატები, ვიმპელები.

გუპტას კოლექციებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამკერდე ნიშნების სერიას ოლიმპიადა-80-ის ემბლემის — „ოლიმპიური დათუნიას" გამოსახულებით.

„ეს სუვენირები ჩემთვის განსაკუთრებულად ძვირფასია, — თქვა გუპტამ. — როგორც ბევრი ჩემი თანამემამულე, მეც მოუთმენლად ველი მოსკოვის ოლიმპიური თამაშების გახსნას, რომელიც უეჭველად დიდი წარმატებით ჩატარდება".

## უძლიერესი გუნდით

**ნაირობი.** მოსკოვის ოლიმპიურ რინგზე კენია უძლიერესი გუნდით წარსდგება, — განაცხადა სამოყვარულო კრივის ეროვნული ასოციაციის მდივანმა ჰ. კილონზომ.

თუმცა თამაშების დაწყებამდე ნახევარი წელიწადი დარჩა, ოლიმპიელთა შერჩევა და მომზადება აქტიურად მიმდინარეობს. კენიის დამოუკიდებლობის მე-16 წლისთავის ზეიმის დღეებში ადგილობრივი მოკრივეები ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ ინგლისელებს და გაიმარჯვეს ანგარიშით — 6:5. ახლა ოლიმპიური ბატალიებისთვის მზადების გეგმაში გათვალისწინებულია მოკრივეთა საწვრთნელი შეკრება, აგრეთვე, შემუშავებულია რინგის უცხოელ ოსტატებთან საერთაშორისო შეხვედრების პროგრამა. ძალების პირველი მოსინჯვა იქნება იანვარში — კამპალაში გამართული ტურნირი კენიის, უგანდისა და ტანზანიის სპორტსმენთა მონაწილეობით. თებერვალში კენიელები გამოვლენ ნიუ-იორკში, „მედისონ სკვერ გარდენის". რინგზე, სადაც ისინი მიწვეული არიან სამოყვარულო კრივის ასოციაციის მიერ. მარტ-აპრილში კენიის მოკრივეთა გუნდი ჩაებმება ბანგკოკში „სამეფო თასისთვის" ბრძოლაში. მარტში კენიელები თავიანთ რინგზე ნიგერიის გუნდს უმასპინძლებენ, შემდეგ შეხვდებიან უგანდელ სპორტსმენებს, ხოლო აპრილის ბოლოს გამოვლენ დასავლეთ და ცენტრალური აფრიკის ქვეყნების ჩემპიონატში.

ოლიმპიური გუნდის შემადგენლობა საბოლოოდ დამტკიცდება მოსკოვში გამგზავრების წინ. სამწუხაროდ, ოლიმპიურ თამაშებზე ვერ იასპარეზებს ნიჭიერი კენიელი მოკრივე ს. მუჩოკი, რამდენადაც იგი წლეულს პროფესიონალებში გადავიდა.

## ლიდერები ძალას არ დაზოგავენ

**ვარშავა,** 18 იანვარი. როცა ცნობილი პოლონელი ძალოსანი ზ. სმალცეჟი მიუნხენის ოლიმპიურ ფიცარნაგზე ოქროს მედლისთვის იბრძოდა, თ. დემბონჩიკი მაშინ ძალოსნობაზე არც ფიქრობდა, ხოლო როცა პოლონელი ძალოსნები 4 წლის შემდეგ მონრეალში ასპარეზობდნენ, ნიჭიერი ათლეტი უკვე იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონი იყო. ახლა პოლონური ძალოსნობის „ახალ ტალღაში" დემბონჩიკი ოლიმპიურ იმედებს შორის პირველია.

მისი შედეგები მუდმივად იზრდება. ამას მოწმობს დემბონჩიკის გამოსვლები წინა ოლიმპიურ წელიწადს: ვარნის ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე — II ადგილი, სალონიკის მსოფლიო ჩემპიონატზე — ბრინჯაოს მედალი. 56 კგ წონით კატეგორიის ათლეტებს შორის ორივე ტურნირზე პოლონელმა სპორტსმენმა ორჭიდში აჩვენა 260 კგ.

— ორჭიდში ეს ჯამი საკმარისი იქნება მოსკოვში მედლის მოსაპოვებლად?—ჰკითხეს პოლონელმა ჟურნალისტებმა დემბონჩიკს.

— არავითარ შემთხვევაში. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს წონით კატეგორიაში ლიდერები ეცდებიან გაცილებით მეტის მოგროვებას. მეც უკეთესისთვის ვიბრძოლებ — რეზერვი ამისათვის მაქვს. ვფიქრობ, 265 კგ-ს დაძლევა საკმარისი იქნება მედლის მოსაპოვებლად, მაგრამ მედალი ხომ სამია? „ოქროსთვის" ეს ჯამი ვფიქრობ ცოტა იქნება, — დაუმატა დემბონჩიკმა. (საკდესი).

# ახალი საფეხბურთო სეზონის წინ



**მიმდინარე** წელს ქვეყნის საფეხბურთო კოლექტივები ადრიანად შეუდგნენ ახალი სეზონისთვის მზადებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ მოსკოვის ოლიმპიური თამაშების წელიწადი ჩვენი საუკეთესო გუნდებისა და მოთამაშეების წინაშე აყენებს მრავალ სერიოზულ ამოცანას. მათი გადაწყვეტისათვის ადრიანი თადარიგია საჭირო.

როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოდან გვაცნობეს, მიმდინარე წლის საფეხბურთო სეზონი დაიწყება სსრ კავშირის თასის გათამაშებით. ვარაუდობენ, რომ ასპარეზობა ჩატარდება ზონების მიხედვით. ერთ-ერთ, კერძოდ IV (თბილისის) ზონაში ითამაშებს 5 გუნდი: თბილისის „დინამო", ალმა-ათის „ქაირათი", ქუთაისის „ტორპედო", ორჯონიკიძის „სპარტაკი" და ხაბაროვსკის ასკ. მატჩები გაიმართება თბილისში 27 თებერვალს, 1, 4, 7 და 10 მარტს. ზონებში გამარჯვებულნი მერვედფინალურ შეხვედრებს ჩაატარებენ 15 მარტს. მეოთხედფინალები გაიმართება 30 მარტს, ნახევარფინალები — 30 მაისს. 1980 წლის სსრ კავშირის თასის მფლობელი გაირკვევა 9 აგვისტოს მოსკოვში — ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

საკავშირო თასისთვის ზონებში გამართული ასპარეზობანი იქნება ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი სსრ კავშირის 43-ე ჩემპიონატისათვის, რომელიც დაიწყება აპრილის პირველ რიცხვებში.

# სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები



## რატომ გააუქმეს დარბაზი?

**ნათელია**, რომ კოლმეურნეს, რომელიც ჩაისა თუ ვენახის პლანტაციაში შრომობს, მუშას, რომელიც დაზგასთან დგას და ქვეყნისთვის საჭირო საქმეს აკეთებს, ახალგაზრდას, მერხთან რომ ზის და ცოდნას ღებულობს, ერთნაირად ესაჭიროება აქტიური დასვენება, საწარმოო ტანვარჯიში, სპორტული პაექრობა. ცნობილია ისიც, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დანერგვა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ზრდას, კოლექტივების საერთო საქმისთვის მობილიზებას და დარაზმვას. რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ღლენიადაგ უნდა იზრუნონ თავიანთ კოლექტივებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვისთვის, სპორტული ბაზების მშენებლობისთვის.

აქტივის კრების შემდეგ ხელშესახები ძვრები შეინიშნება დმანისის რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში. მნიშვნელოვნად გაიზარდა ფიზკულტურელთა და მშრ კომპლექსის ნიშნოსანთა, თანრიგოსან სპორტსმენთა რიცხვი, რაიონის 66 ფიზკულტურული კოლექტივი 15000-ზე მეტ კაცს აერთიანებს, მათ შორის 4725 მშრ ნიშნოსანია. ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვის საქმეში განსაკუთრებით გამოირჩევიან სოფელ განთიადისა და გომარეთის საბჭოთა მეურნეობები.

განთიადელ მშრომელებს კარგი პირობები აქვთ ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობისთვის. მათ განკარგულებაშია ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორი, საჭიდაო სარბიელი. სპორტული ბაზების ნაკლებობას არც სოფლის სკოლა განიცდის. მხედველობაში გვაქვს ღია სპორტული მოედნები, მაგრამ შენობისამებრ გამოყენების ფაქტებს სხვაგანაც წავაწყდით. **სოფელ დიდი დმანისის საშუალო სკოლის სპორტულ მოედანზე საბავშვო ბაღის მშენებლობა გააჩაღეს, ახალი მოედნის მოწყობას კი საშველი არ დაადგა. ამ სკოლის სპორტული დარბაზიც სავალალო მდგომარეობაშია: კედლები გაბზარულია, იატაკი — დაზიანებული, სახურავიდან წყალი ჩამოდის, არ თბება.** ასეთ პირობებში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ნაყოფიერებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

**დარბაზი, რომელიც მიწისძვრის შედეგად დაინგრა, დღემდე არ არის აღდგენილი, ამიტომაც ფიზკულტურის გაკვეთილები ღია ცის ქვეშ ტარდება.**

ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში არც გომარეთის საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან. **სკოლის დირექციამ სპორტული დარბაზი სააქტო დარბაზად გადააკეთა.** მართალია, ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობა დაიწყეს, მაგრამ სამუშაოები ძალზე დაბალი ტემპით მიმდინარეობს და არავინ უწყის, როდის დამთავრდება.

სპორტული ბაზების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტებს სხვაგანაც წავაწყდით.

სპორტული ბაზა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლის აუცილებელი პირობაა. ამ მხრივ დმანისის რაიონში ბევრი რამაა მოსაგვარებელი. **რაიონის 28 საშუალო სკოლიდან 4 სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რვაწლიან სკოლებზე კი** (სულ 22 ასეთი სკოლაა) **ლაპარაკიც ზედმეტია.** შეუფერებელ პირობებში არიან დმანისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის აღსაზრდელებიც. სპორტსკოლის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, მწვრთნელებს მუშაობის ელემენტარული პირობები არა აქვთ. თუ ეს საკითხი დროულად არ მოგვარდა, ბუნებრივია, სპორტსკოლის აღსაზრდელებს გაუჭირდებათ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში თავის გამოჩენა.

მოსაგვარებელია ფიზკულტურული კოლექტივების სპეციალისტებით დაკომპლექტების საკითხი. **რაიონის 10 საბჭოთა მეურნეობიდან ხუთს აქვს ფიზკულტურის მეთოდისტის შტატი, მაგრამ ყველგან არასპეციალისტი მუშაობს.** ეს საკითხი დიდი ხანია დგას დღის წესრიგში, მდგომარეობა არა და არ იცვლება.

ამას წინათ პარტიის დმანისის რაიკომში ჩატარდა პლენუმი, რომელიც რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხებს მიეძღვნა. პლენუმზე დეტალურად გააანალიზეს არსებული მდგომარეობა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებები დასახეს. უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ცხოვრებაში გატარება ხელს შეუწყობს დმანისში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის უფრო მასობრივად გაშლას.

**შ. დევნოზაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

* * *

სურათებზე: დიდი დასვენება სოფელ განთიადის საშუალო სკოლაში; ასე გამოიყურება დიდი დმანისის საშუალო სკოლის სპორტული დარბაზი და რაიონის სპორტსკოლის შენობა.

ავტორის ფოტოები.





## ფიზკულტურულ კოლექტივებში
# სპორტთან მეგობრობენ

**ეს იყო** ახალწლო ზეიმის დღეებში. ესაფერისად მორთულ კლუბს ახალგაზრდობის ჟრიამული ავსებდა. სხვადასხვა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ნორჩებმა ცეკვებითა და სხვადასხვა საინტერესო გამოსვლებით მოხიბლეს მაყურებლები...

თბილისის 85-ე საშუალო სკოლაში კარგა ხანია არსებობს ინტერნაციონალური კლუბი (ხელმძღვანელი, პედაგოგი თამარ ლებანიძე), რომელიც სისტემატურად მართავს საინტერესო საღამოებს და ხელს უწყობს მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეს. იმდღევანდელი საღამო მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებს მიეძღვნა და დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ამ საჭირო ღონისძიებას მეტი ელფერი ექნებოდა, რომ საღამოს დასწრებოდნენ საგანგებოდ მიწვეული თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები. არადა, როგორ გაწბილდნენ სპორტის ნორჩი მოყვარულები, როცა მათი სათაყვანებელი სპორტსმენები არ მოვიდნენ და მათთვის განკუთვნილი საჩუქრები ხელუხლებელი დარჩა...

* * *

85-ე სკოლა (დირექტორი ოსიკო თათენაშვილი) ერთ-ერთი მოწინავეა თბილისის 26 კომისრის რაიონში და მას კარგი სპორტული ტრადიციებიც გააჩნია. მოსწავლეები ჩაბმული არიან როგორც სასკოლო, ასევე რაიონის სპორტულ სექციებში. სკოლა ამაყობს კალათბურთელი გოგონებით. ამ გუნდის წევრები მ. გულიკაშვილი, ქ. იაშვილი და მ. გოგოლიძე ქალაქის ნაკრების წევრები არიან. საქალაქო პირველობაში წარმატებით გამოდიან ფეხბურთელები, ხელბურთელები, მოჭიდავეები და სხვა სახეობათა გუნდები თუ სპორტსმენები. ამჟამად აქ მიმდინარეობს შიდასასკოლო სპარტაკიადა, რომელშიც უფროსკლასელები მონაწილეობენ. ყველაზე პატარებისთვის კი ეწყობა საინტერესო ღონისძიება — „მხიარული სტარტები“. 227-მა მოსწავლემ ჩააბარა მშრ ნორმატივი. სკოლის ეზოში მოწყობილია კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორები, უნდა დაწყებულიყო საცურაო აუზის მშენებლობა, მაგრამ ეს საქმე რატომღაც გაჭიანურდა.

სკოლის დირექცია და პედკოლექტივი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მათი აღსაზრდელები მოწინავენი იყვნენ სწავლასა და სპორტში, რომ განათლებული ახალგაზრდა ფიზიკურადაც ძლიერი იყოს.

**პ. სალუქვაძე.**

● ველოსპორტი

## ახალ ტრეკზე — პირველად

**მოსკოვის** დახურულ ოლიმპიურ ველოტრეკზე სტარტი აიღო საკავშირო ზამთრის ჩემპიონატმა, რომელიც ოლიმპიური პროგრამით ეწყობა. მედლები თამაშდება გიტში, სპრინტში, გამოდევნებით ინდივიდუალურ და გუნდურ რბოლებში. შეჯიბრებები 3 დღეს გაგრძელდება.

ჩემპიონატი 1 კილომეტრზე მოასპარეზეებმა გახსნეს. ოქროს მედალზე პრეტენზიას 33 ოსტატი აცხადებდა. მათ შორის არ იყო სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი, ომსკელი ი. რაპი.

ტურნირს ტონი მისცა ლენინგრადელმა ვ. კუზმინმა, მან VI რბოლაში 1,08,376 აჩვენა. ეს გახდა სხვათა ორიენტირი (ურიგო არ იქნება თუ მოვიგონებთ, რომ ამ სახეობაში ოფიციალური მსოფლიო რეკორდი დახურული სარბიელებისთვის 1964 წლიდან ეკუთვნის ბელგიელ პ. სერკიუს და 1.06,760-ს უდრის).

კუზმინის შედეგს ზედიზედ უტევდნენ. როგორც გიტის, ისე სპრინტის ოსტატები—ს. კოპილოვი, ს. ჟურავლიოვი, ე. გელაშვილი, მაგრამ ისინი მას მხოლოდ მიუახლოვდნენ.

მეთექვსმეტე რბოლაში თავი ისახელა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონმა, 18 წლის რიგელმა გ. ლაპინშმა — 1.07,88, მაგრამ გამარჯვება არც მას ეწერა. ბოლოსწინა სტარტზე გამოსულმა ქვეყნის თასის მფლობელმა კ. ხრაბცოვმა უფრო მაღალ მაჩვენებელს (1.07,57) მიაღწია და ჩემპიონიც ეს 21 წლის სერპუხოველი ოსტატი გახდა. „ვერცხლი“ ლაპინშს ერგო, „ბრინჯაო“ — კუზმინს.

გვიან საღამოს კიდევ ერთი ჩემპიონი გამოვლინდა. გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში უძლიერესის სახელი მოიპოვა 19 წლის ლენინგრადელმა ვ. მანაკოვმა — 4.43,73.

შუალედში ლენინგრადელმა გ. ცარიოვამ სცადა 200 მეტრზე სვლით საკავშირო რეკორდის გაუმჯობესება, მაგრამ უფრო შორს წავიდა — იტალიელი რ. ბისოლის ოფიციალურ მსოფლიო მიღწევასაც გადაამეტა დახურული ტრეკისთვის. გ. ცარიოვას შედეგია 12.163 წამი.

●

## მეძღვნება მოსკოვის თამაშებს

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ინიციატივით აპრილში ბაქოში პირველად ჩატარდება ამიერკავკასიის რესპუბლიკების საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპარტაკიადა 5 სახეობაში (მძლეოსნობა, ცურვა, ტყვიის სროლა, კალათბურთი, ფრენბურთი), რომელიც მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებსა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავს მიეძღვნება.

შემდეგ ეს ღონისძიება ტრადიციად დამკვიდრდება: 1981 წელს სპარტაკიადას ერევანი უმასპინძლებს, ხოლო 1982 წელს შეჯიბრებები თბილისში ჩატარდება.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპარტაკიადამდე უნდა მოეწყოს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკური ტურნირები. გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ გადამწყვეტ სტარტებში.

საქართველოს რესპუბლიკურ სპარტაკიადას ერთობლივი ძალით გამართავს ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, „განთიადის“ ცენტრალური და „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოები. რა თქმა უნდა, ამ საქმეში სათანადო წვლილს შეიტანს რესპუბლიკის სპორტკომიტეტი.

საქართველოს სპარტაკიადა თებერვალ-მარტში, თბილისში მოეწყობა.

**ნ. ბაგოშიძე,**
რესპუბლიკის საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფიზაღზრდის კომისიის თავმჯდომარე.



## სსრ კავშირის 47-ე ჩემპიონატი

დღეს კაუნასში მიემგზავრება თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი. საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩებს დინამოელები ჩაატარებენ: 22 იანვარს მინსკის რტი-სთან, 23-ში რიგის ვეფ-თან, 24-ში კიევის „სტროიტელთან“, 26-ში ვილნიუსის „სტატიბასთან“, 27 იანვარს შეხვდებიან კაუნასის „ჟალგირისს“.

# ვინ მოხვდება ექვსეულში?



რიგის ტურით დამთავრდა კალათბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველი წრე. ნათამაშებია ტურნირის ნახევარი. ცხრილში გუნდები ოთხ პირობით ჯგუფად განაწილდნენ. პირველში ფაქტიურად მხოლოდ ერთი გუნდია — საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი მოსკოვის ცსკა (მწვრთნელი ა. გომელსკი). ცსკა-ს ლიდერობა არავისათვის მოულოდნელი არ არის. კარგად თამაშობენ გუნდის ვეტერანები — ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები. სატურნირო მდგომარეობა საშუალებას აძლევს გუნდის მწვრთნელებს სერიოზულ მატჩებში გამოსცადონ ახალგაზრდებიც: ა. გუსევი (197), ვ. პანკრაშკინი (212), ვ. კუზმინი (200), ა. კრასავცევი (201).

ის დიდი უპირატესობა, რომელიც არმიელებს სხვა გუნდებთან აქვთ, კონდრაშინის აზრით აიხსნება არა მხოლოდ მათი სიძლიერით, არამედ მოწინააღმდეგეების სისუსტითაც.

მეორე ჯგუფში შედიან: კაუნასის „ჟალგირისი“ (მწვრთნელი ვ. გარასტასი), მოსკოვის „დინამო“ (მწვრთნელი ე. გომელსკი) და კიევის ასკ (მწვრთნელი ვ. ბოჟენარი). საუცხოოდ თამაშობს წლევანდელ ჩემპიონატს კაუნასის „ჟალგირისი“. როგორც ჩანს, გუნდის ახალმა მწვრთნელმა ვალდას გარასტასმა შეძლო კოლექტივისთვის დაებრუნებინა საკუთარი ძალების რწმენა და საბრძოლო ჟინი. ტექნიკა კი კაუნასელებს არასოდეს აკლდათ. გამოცდილი კალათბურთელების (ა. ლინკიავიჩიუსი, მ. არლაუსკასი, ლ. ჟუკაიტისი, ს. იოვაიშა) გვერდით ჩინებულად თამაშობენ ახალგაზრდები. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ კაუნასელთა ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელის რაიმუნდას ჩივილისის (1959, 204) სწრაფი პროგრესი. მან ძალიან კარგად ითამაშა რიგის ტურის ყველაზე პრინციპული მატჩები ცსკა-სთან და მოსკოვის „დინამოსთან“.

საპრიზო ადგილებს უმიზნებს მოსკოვის „დინამოც“. კარგ ფორმაში არიან გამოცდილი კალათბურთელები ჟიგილიი, ბოლოშევი, სიდიაკინი. შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ კვლავ ძლიერად თამაშობს ნ. ფესენკო (200). საგრძნობლად მოუმატა კოროლიოვმა (204). ამასთან, არასტაბილურობა მოსკოველთა სერიოზული მინუსია.

ბევრისთვის შეიძლება მოულოდნელი იყო ლიდერთა შორის კიეველ არმიელთა გამოჩენა, მაგრამ გასაკვირი აქ მართლაც არაფერია. სადღეისოდ კიეველებს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ. განსაკუთრებით სოლიდურად გამოიყურება უკანა ხაზი: არზამასკოვი (190), მელეშკინი (185), სალნიკოვი (196), ბერეჟნოი (199), ხომენკო (200). კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ცენტრალური თავდამსხმელი ლისკო. კიეველები თავიანთ აღზევებას სწორედ ამ კალათბურთელებს უნდა უმადლოდნენ.

მესამე ჯგუფში შედიან ლენინგრადის „სპარტაკი“ (მწვრთნელი ვ. კონდრაშინი), თბილისის „დინამო“ (მწვრთნელი ლ. მოსეშვილი) და ვილნიუსის „სტატიბა“ (მწვრთნელი რ. ენდრიაიტისი). ლენინგრადელებმა უკანასკნელ წლებში საკმაოდ სერიოზული დანაკლისი განიცადეს. ჯერ იყო და გუნდი დატოვეს ვ. არზამასკოვმა, ვ. ფიოდოროვმა და ვ. იაკოვლევმა. მერე სახელგანთქმული ა. ბელოვი გამოაკლდა კოლექტივს. წლევანდელ სეზონში არმიაში გაიწვიეს ევროპის XXI ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი ს. ტარაკანოვი. ადვილი გასაგებია, რომ სპარტაკელთა თამაშმა ძველებური პეწი დაკარგა. გუნდში მრავლად არიან ახალბედები, რომელთაც ჯერ კიდევ აკლიათ გამოცდილება. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კარგად ნათამაშებ მატჩებს (მაგალითად, ტალინში, მოსკოვის „დინამოსთან“ 111:110) უფერული მატჩები ცვლის (რიგაში, „სტროიტელთან 72:79). კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ გამოცდილი კალათბურთელები ს. კუზნეცოვი (187), გ. კაპუსტინი (187), ი. პავლოვი (200). ახალბედებიდან უნდა დავასახელოთ ახალგაზრდებს შორის ბრაზილიის მსოფლიოს I ჩემპიონატის მონაწილე ანდრეი ტიუბინი (202).

რიგის ტურში შესაძლებლობაზე სუსტად იასპარეზა თბილისის „დინამომ“. კოლექტივი დღეს საკმაოდ სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, რომელთა შორისაც მთავარი უსათუოდ გუნდის გაახალგაზრდავების საკითხია. თბილისშიც და რიგაშიც კარგად იასპარეზეს ვეტერანებმა.

უთუოდ იმედის მომცემად უნდა ჩავთვალოთ ახალბედების ბოროდახევისა და მილოვიდოვის დებიუტი. პირველი კარგად მოქმედებს დაცვაში, ხოლო მეორემ საკმაოდ შედეგიანად ითამაშა რიგ მატჩებში: „ჟალგირისთან“ (16 ქულა), ცსკა-სთან (18 ქულა). ორივეს დიდი და სერიოზული მუშაობა მართებს. ვილნიუსის „სტატიბას“ წლევანდელ გამოსვლას წარმატებით ვერ ვუწოდებთ. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ოლიმპიური ნაკრების კანდიდატის ა. პავილონისის (200) ტრავმა.

ეჭვს გარეშ ა, ამ სამ გუნდს შორის უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდება პირველ ექვსეულში ადგილის მოსაპოვებლად.

მეოთხე ჯგუფის გუნდების ძირითად მიზანს წარმოადგენს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. ამისთვის იბრძოლებენ რიგის ვეფ-ი (მწვრთნელი ა. კრაულინი), ტალინის „კალევი“ (მწვრთნელი ა. სოკი), კიევის „სტროიტელი“ (მწვრთნელი ბ. ვდოვიჩენკო), მინსკის რტი (მწვრთნელი ვ. კოლოსი), ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივი“ (მწვრთნელი პ. პერმინოვი). აღნიშვნის ღირსია ამ გუნდების ცალკეული მოთამაშეები: მ. კოჟელიანკო (204), ვ. რიჟოვი (190), ტ. რანდალა (191), პ. ენდენი (197), ა. დუდოროვი (205). ეს ორი უკანასკნელი ოლიმპიური ნაკრების კანდიდატია.

* * *

წმინდა ტექნიკურ შედეგებს გარდა ჩემპიონატის პირველი წრის მატჩებმა გარკვეული მასალა მოგვცეს ვიმსჯელოთ ოლიმპიადის წინ საბჭოთა კალათბურთის მდგომარეობაზე.

უკანასკნელ ხანებში სერიოზული კრიტიკის საგანი გახდა ჩვენი გუნდების თამაში დაცვაში. თბილისის ტურის მონაწილე ყველა გუნდმა დაცვაში ძალიან სუსტად ითამაშა. მკაცრი, მაგრამ სამართლიანია ა. ბლიკის მოსაზრება, რომ „მოთამაშეთა უმრავლესობას სამწუხაროდ წარმოდგენაც არ აქვს იმაზე, თუ როგორ უნდა დაიჭირონ მოწინააღმდეგე“. მთელი რიგი ლაფსუსები გააჩნია გუნდურ დაცვას. თავს იჩენს სპორტსმენებს შორის შეუთანხმებლობა ამა თუ იმ თავდამსხმელის ნეიტრალიზების დროს. ა. პინჩუკის მართებული შენიშვნით „ზონური და პირადი პრესინგი იშვიათობა გახდა“, რასაც ლოგიკურად მივყავართ დაცვაში თამაშის ტაქტიკის გაღარიბებამდე. სპეციალისტების და მიმომხილველების სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს დაცვის ყველაზე აქტიური ფორმის პრესინგის თამაში, ეს ტაქტიკური ვარიანტი ჩვენი გუნდების შესრულებით პრესინგის მეტს ყველაფერს ჰგავს. უფრო ზუსტი იქნება ვუწოდოთ მას თავდაცვის ოდნავ აქტიური ფორმა. პრესინგს ჩვენი გუნდები მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში მიმართავენ. კერძოდ მაშინ, როდესაც ისინი უიმედოდ აგებენ მატჩს. ამიტომ ის უფრო ექსპრომტს წააგავს, ვიდრე წინასწარ მოფიქრებულ ტაქტიკურ სვლას. აღსანიშნავია ისიც, რომ მოწინააღმდეგის დასაბნევად თავდაცვის ეს ოდნავ აქტიური ფორმაც საკმარისია. თბილისის ტურის რიგი მატჩები („დინამო“ — „სტროიტელი“ „დინამო“ — „სტატიბა“, „ჟალგირისი“ — „სტროიტელი, „სტროიტელი“ — რტი) ამის ნათელი ილუსტრაციაა.

სულ უფრო და უფრო იშვიათი გახდა მწვრთნელების მხრივ ახალი ტაქტიკური ვარიანტების ან მოულოდნელი სვლების გამოყენება. გუნდების უმრავლესობა კვლავ იყენებს უკვე ყველასათვის საკმაოდ ცნობილ კომბინაციებს. ამ მხრივ გამონაკლისი აღმოჩნდა მოსკოვის „დინამოს“ მატჩი „ჟალგირისთან“. „ჟალგირისის“ მწვრთნელმა ვ. გარასტასმა მოსკოველთა ლიდერის ვ. ჟიგილიის წინააღმდეგ ათამაშა 18 წლის რ. ვალიკონისი. ერთი შეხედვით ეს ალოგიკური იყო. ჟიგილიის სიმაღლეა 207 სმ, ვალიკონისის — 190. მოულოდნელობისაგან დაბნეულმა ჟიგილიიმ ვერაფრით ვერ გაარკვია, რა ხდებოდა. ამასობაში კი „ჟალგირისი“ დაწინაურდა. იქნებ მწვრთნელის ეს მოულოდნელი სვლა იყო „ჟალგირისის“ ლამაზი გამარჯვების (102:89) ერთ-ერთი მიზეზი?

და კიდევ მსაჯობის შესახებ. საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა მ. დავიდოვმა მსაჯთა კორპუსის საქმიანობას დადებითი შეფასება მისცა.

მ. კალანდაძე.

● წყალში ხტომა

# ხომალდიდან — მეჯლისზე



**რომ იტყვიან,** ხომალდიდან პირდაპირ მეჯლისზე მოხვდაო, სწორედ ასე შეემთხვა საქართველოს წყალში მხტომელთა უფროს მწვრთნელს ი. გუტიაკულოვს.

ლას-პალმასიდან (სადაც იგი თან ახლდა თავის აღსაზრდელებს — ლ. ცოტაძესა და ს. შალიბაშვილს), მწვრთნელი პირდაპირ დნეპროპეტროვსკს გაემგზავრა. აქ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე ნორჩ წყალში მხტომელთა საკავშირო პირველობა მიმდინარეობდა. და აი, „მეჯლისიც“: მისი შვილი და მოსწავლე, განთიადელი ინგა გუტიაკულოვა უფროსი ასაკის (15-16 წ. წ.) კოშკიდან მხტომელთა შორის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ინგა მეორე იყო 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, ხოლო ორივე სახეობის ჯამში — კვლავ პირველი!

კარგად გამოვიდა ინგას თანაგუნდელიც — განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ლალი ლონლაძეც, რომელიც „განთიადის“ სახელით ასპარეზობდა. კოშკიდან ხტომაში იგი მეორე იყო გუტიაკულოვას შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ მათ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, ერევნელ ა. სარქისიანს აჯობეს. თბილისელი სპორტსმენები კი ჯერჯერობით „მხოლოდ“ სპორტის ოსტატები არიან. აქვე უნდა ითქვას, რომ სარქისიანი სოციალისტური ქვეყნების წყალში მხტომელთა შეჯიბრების პრიზიორია.

ინგამ 332,92 ქულა მოაგროვა, ლალიმ — 328,41, ხოლო სარქისიანმა — 323,88.

გუნდურ პირველობაში საუკეთესო იყო „ზენიტი“ — 132,5. „სპარტაკმა“ და „დინამომ“ 127,5-127,5 ქულა მოაგროვეს და შესაბამისად II-III ადგილები დაიკავეს. მომდევნო ადგილებზეა ცსკა — 116,5 ქ, „ტრუდი“ — 115,6, „განთიადი“ — 74,00...

შეჯიბრების შემდეგ სსრ კავშირის წყალში მხტომელთა ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ე. გრომოვმა ჟურნალისტებთან საუბარში თქვა:

— „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე შეჯიბრება წლევანდელი სეზონის პირველი ასპარეზობა გახლდათ. წლეულს ჩვენს ახალგაზრდა წყალში მხტომელებს ბევრი საინტერესო შეჯიბრება ელით. მათ შორის ჩვენი ქვეყნისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წყალში მხტომელთა ტრადიციული სამატჩო შეხვედრა, ევროპის ჩემპიონატი (რომელიც შვეციაში გაიმართება), საკავშირო პირველობა.. „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე გამარჯვებულებმა დაამტკიცეს თავიანთი მზარდი ოსტატობა. სასიამოვნოა, რომ ჩვენი სახეობის გეოგრაფია სულ უფრო და უფრო ვრცელდება. ნიჭიერი სპორტსმენები იზრდებიან კუიბიშევში, ზაპოროჟიეში, სტავროპოლში, თბილისში და ტაშკენტში. ამ შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენთა სახელებს, იმედია, ჩვენ კიდევ გავიგონებთ ოლიმპიადა-84-ზე.

ა. რაჭველიშვილი.

* * *

სურათებზე: ი. გუტიაკულოვა; ლ. ლონლაძე.

ავტორის ფოტოები.



● წყალბურთი

# ქულათა მაქსიმუმით

**საქართველოს** სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში დამთავრდა რესპუბლიკის ჭაბუკ წყალბურთელთა (1962-63 წ. წ.) დაბადებულნი) პირველობა.

თბილისის განათლების სამმართველოს გუნდმა ყველა შეხვედრა ალმავლობით ჩაატარა და დამსახურებულად გაიმარჯვა. მან ქულათა (10) მაქსიმუმი მოაგროვა. მეორე იყო თბილისის „დინამო“ (8), ხოლო მესამე — ქუთაისის „განთიადი“ (6).

მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: განათლების სამინისტრო (4 ქ.), ბათუმის „განთიადი“ (2) და თბილისის „ლოკომოტივი“ (0).

ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივი მონაწილეობას მიიღებს ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში.

# ჰორიზონტზეა ლეიკ-პლე-სიდი

● სამთო-სათხილამურო სპორტი

## მეორე ცდამ გადაწყვიტა...

**შვეიცარიის** ქალაქ აზორის მიდამოებში გაიმართა სამთო-მოთხილამურე ქალთა მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგი ეტაპის შეჯიბრებები. 2992-მეტრიანი სწრაფდაშვების ტრასაზე ასპარეზობის შედეგებს წინა ნომერში ვიტყობინებოდით. ახლა დავუმატებთ, რომ აქვე ჩატარდა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. ორი ცდის ჯამში ბადალი არ ჰყავდა ჰ. ვენცელს (ლიხტენშტეინი) — 2.18,15. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მ.-ტ. ნადიგი (შვეიცარია) — 2.18,44 და პ. პელენი (საფრანგეთი) — 2.19,85.

პირველი დაშვების შემდეგ ლიდერობდა ნადიგი. მან ტრასის გავლას 1 წუთი და 4,18 წამი მოანდომა. ვენცელი ამ მომენტისთვის მასთან 9,01 წამს აგებდა, მეორე ცდაში როლები შეიცვალა: ვენცელმა ფინიშამდე მისვლას 1 წუთი და 4,56 წამი მოანდომა, ნადიგს კი აშკარად ხელი მოეცარა — 1.13,86, რის გამო საბოლოოდ II ადგილით დაკმაყოფილდა.

თასის საერთო ჩათვლაში ვენცელი ლიდერობს —197 ქულა. მსოფლიო თასის მრავალგზის მფლობელი ა. მოზერ-პროლი (ავსტრია) მას 3 ქულით ჩამორჩება. ნადიგი III ადგილზეა — 150 ქულა.

□

● ბობსლეი

## სახიფათო მოსახვევები

**ამერიკელი** ბობსლეისტების ერთ-ერთ უკანასკნელ ვარჯიშზე, რომელიც ლეიკ-პლესიდის ოლიმპიურ ტრასაზე მიმდინარეობდა, 4-ადგილიანის ეკიპაჟმა მარცხი განიცადა. მძიმე „ბობიმ“, რომელსაც 40 წლის ბ. ნაპე მართავდა, მოსახვევების „კომბინაციას“ ვერ გაუძლო და გადაბრუნდა. სამმა სპორტსმენმა მცირე ტრავმა მიიღო, მეოთხემ ფეხი მოიტეხა და ჰოსპიტალში ამოყო თავი. სხვათა შორის, ამ სახიფათო მოსახვევებში უკვე ექვსმა ეკიპაჟმა განიცადა ავარია, მაგრამ აქამდე სერიოზულ შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია, თუმცა 4-ადგილიანები აქ სულ რაღაც ორი კვირაა წვრთნას გადიან.

მრბოლელთა ამ წარუმატებლობას სპეციალისტები იმით ხსნიან, რომ სპორტსმენებს ძალა არ შესწევთ ნორმალურად მართონ თავიანთი „მანქანა“. საქმე იმაშია, რომ ოლიმპიადა რაც უფრო ახლოვდება, ტემპი მით უფრო მატულობს, ბობსლეის მართვისა და ტრასის გავლის გამოცდილება კი სპორტსმენებს ასეთ სისწრაფეზე აშკარად არ ჰყოფნით.

ნაპესა და მისი ეკიპაჟის ამ მარცხის შემდეგ ტრასა დაიკეტა, რათა ამ მონაკვეთში ღარის პროფილი უფრო გაიიოლონ. (საკდესი).

● ფეხბურთი

# ექიმი, რომელიც... არ კურნავს!

აქ ერთი სიტყვა უნდა დავუმატოთ: — ჯერჯერობით! ექიმი სოკრატესი, თუმცა დიპლომი მას უკვე აქვს, ჯერჯერობით არ გამოჩენილა საავადმყოფოში. „ექიმობა — მსოფლიო პირველობის შემდეგ“, — ამბობს იგი, მანამდე კი ბრაზილიელ გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ სოკრატესი, პირველხარისხოვანი ფეხბურთელი, დიდად დაეხმარება ნაკრებს დაიბრუნოს დაკარგული სახელი.

როგორც მიმომხილველები მიიჩნევენ, სოკრატესი თავისი კლასით და თამაშის მანერით პირდაპირ „მისწრებაა“ ბრაზილიის ახლანდელი ნაკრებისთვის. მას ადარებენ ზიზინიოსა და ტოსტაოს, სწორედ იმ შედეგიან ფეხბურთელებს, ახლანდელ გუნდს რომ ერთობ აკლია.

სოკრატესს ხშირად სტუმრობენ ჟურნალისტები. მისი სრული სახელიც დავიმახსოვროთ: სოკრატეს ბრაზილიერო სამპაიო სოუზა ვიეირა დე ოლივეირა.

ერთმა ჟურნალისტმა სოკრატესს ჰკითხა:

● **თქვენ აშკარა ლიდერი იყავით ყველა გუნდში, სადაც კი თამაშობდით. ნაკრებშიც ასეთივე ფუნქციებს შეასრულებთ?**

— წარმოდგენა არა მაქვს. ვიქნები თუ არა ლიდერი, ამის დადგენა მწვრთნელის პრეროგატივა გახლავთ. მე სხვა რამეს ვაპირებ — საუკეთესო ურთიერთობა დავამყარო გუნდის ყველა წევრთან. ფეხბურთელთა სოლიდარობა იმაზე ნაკლები ღირსება როდი გახლავთ, ვიდრე, ვთქვათ, მაღალი ტექნიკა.

● **თქვენ უკვე პროფესიონალი მედიკოსი ხართ. ხომ არ უქმნით გუნდში თავისებურ კონკურენციას ექიმს?**

— ეტყობა, ვუქმნი. ფეხბურთელები, რამეს რომ იტკენენ, ჯერ მე მეკითხებიან, შემდეგ კი გუნდის ექიმს. ასე იყო პრეტოს „ბოტაფოგო დე რიბეიროში“, სადაც ადრე ვთამაშობდი, ასეა სან-პაულუს „კორინტიანსში“, სადაც ახლა გამოვდივარ.

● **თქვენ ხშირად გადარებენ ტოსტაოს. ისიც, როგორც მოგეხსენებათ, ექიმი იყო.**

— არ ვიცი, ასეთ რა მსგავსებას ნახულობენ. პირდაპირ გეტყვით, ტოსტაოს თამაშს ძალიან ნაკლებად ვიცნობ. ეტყობა, რაღაც საერთო მაინც უნდა გვქონდეს.

სოკრატესმა განაცხადა, რომ ნაკრებში სწორედ დროზე მიიწვიეს — ახლა ძალიან კარგად გრძნობს თავს და ჩინებულ ფორმაშიცაა. თავის საუკეთესო პარტნიორებად იგი მიიჩნევს ფალკაოს, ზიკოსა და კარპენიანის. სოკრატესს მიაჩნია, რომ ნაკრებში უნდა მიუხმონ ყველა საუკეთესო ფეხბურთელს, იმის მიუხედავად, ბრაზილიაში გამოდიან ისინი თუ უცხოეთში.

# ვ. მარღანიას ხსოვნას მიეძღვნა



თბილისის განათლების სამმართველოს, „დინამოს“ ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის, „ლოკომოტივის“, „განთიადის“, „ავაზას“ და სპორტინტერნატის ნორჩ (1963 წელს დაბადებულნი) ფეხბურთელთა გუნდები მონაწილეობდნენ სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში.

ასპარეზობა ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის განათლების სამმართველოსა და ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდები. განათლების სამმართველოს გუნდმა ანგარიშით 6:1 დაამარცხა მეტოქე და თასიც დაისაკუთრა.

* * *

**სურათზე: განათლების სამმართველოს გუნდი.**

ი. იუნაევის ფოტო.

# ტრაგედია სტადიონზე

ტრაგედია დატრიალდა იტალიის ჩემპიონატის მატჩში „მილანსა“ და „უდინეზეს“ გუნდებს შორის: მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე სამი მაყურებელი 30 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა და მსხვერპლად შეეწირა თავშეუკავებელ ემოციებს.

● ჩოგბურთი

## ვის დარჩება „სამეფო თასი?“

**დღეს** მოსკოვში გაიმართება „სამეფო თასის“ გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრა. საბჭოთა ნაკრების მეტოქე იქნება უნგრეთის გუნდი, რომელმაც წინა ტურში ბუდაპეშტში მორიგი გამარჯვება იზეიმა. ამჯერად მან ავსტრიის ნაკრები დაამარცხა — 2:1.

ი. ბენიკმა სძლია ჰ. შტიგლერს — 6:3, 6:1. რ. მაჰანმა მოუგო რ. რეინინგერს —6:7, 6:0, 7:6. წყვილთა შეხვედრაში მასპინძლები წინ იყვნენ — 2:0. მესამე ბრძოლა ბენიკმა და პ. სიკემ წააგეს შტიგლერსა და ბ. პილსთან — 6:4, 5:7, 5:7.

„ბ“ ჯგუფში დღევანდელი ტურის წინ უნგრელებს 4 შეხვედრიდან 4 მოგება აქვთ, საბჭოთა ნაკრებს 4-დან — 3.

„ა“ ჯგუფში დაუმარცხებლად გამოდიან გფრ-ის ჩოგბურთელები. მათ მორიგ ტურში სძლიეს შვედებს — 2:0 (წყვილთა შეხვედრა არ ჩატარებულა). შვედებს 2 ქულა აქვთ, იმდენივე, რამდენიც ჩეხოსლოვაკიელებს, რომლებმაც ბოლო შეხვედრა მოუგეს ინგლისელებს — 2:1.

ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული კოლექტივები გადამწყვეტ შეხვედრებში გაითამაშებენ მთავარ ჯილდოს.

### „სისხლიანი მერი“

ასე უწოდებენ კოლეგები 27 წლის მერი გლოელს, რომელიც ნიუ-იორკის პოლიციაში მუშაობს და „შავ სარტყელს“ (ყარატეს ოსტატების უმაღლესი ჯილდო) ფლობს. იგი კარგი აღნაგობის, მოხდენილი „პოლისვუმენი“ (პოლიციელი ქალი) გახლავთ. იგი რეგულარულად სეირნობს ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში, რომელიც სავსეა ბანდიტებით და სხვადასხვა ჯურის დამნაშავეებით. როდესაც ბანდიტი პოლიციელ ქალს ჩვეულებრივ მოსეირნედ მიიჩნევს და ესხმის მას, გლოუელი ჯერ შეუბრალებლად უსწორდება, სასტიკად სცემს, შემდეგ კი რადიოთი პირდაპირ პოლიციის მანქანას იძახებს, რათა ბანდიტი ციხის საავადმყოფოში წაიყვანონ. ამას წინათ „სისხლიანი მერი“ გაუსწორდა „თავის“ მეხუთასე ბანდიტს და თანაც ისე სცემა, რომ ინვალიდად აქცია.

### ვერაგობაც ამას ჰქვია!

პროფესიული ჩოგბურთის ვეტერანმა ილიე ნასტასემ ამას წინათ თავისებური ინტერვიუ მისცა გფრ-ის გაზეთ „ჰამბურგერ აბენდბლატს“ და ილაპარაკა „ფსიქოლოგიური ომის“ იმ მეთოდებზე, რომელსაც იყენებს.

— ჯიმი კონორსი — განაცხადა ნასტასემ — გატაცებულია დეტექტური რომანების კითხვით. ეს რომ ვიცოდი, ავდექი და ჩვენი ერთ-ერთი შეხვედრის წინ, ძალიან საინტერესო დეტექტური რომანი შევაპარე, მაგრამ წინასწარ რამდენიმე ბოლო ფურცელი ამოვხიე. კონორსი მეტად მგრძნობიარე კაცია, იგი წონასწორობიდან გამოვიდა და... ჩემთან ცუდად ითამაშა.

### ქალის პოზიციიდან

24 წლის ხუანა-მარია გონსალესი პირველი ქალია ესპანეთში, რომელსაც ოფიციალურად მიეცა ნება ითამაშოს ფეხბურთელ ვაჟთა გუნდში. იგი თამაშობს „ალდეანუოვო დე ლა ვერაში“ (ესტრამადურის პროვინცია), თავდასხმის ხაზში და ამ გუნდის ყველაზე უფრო შედეგიანი ფორვარდიც გახლავთ. ამას წინათ ფეხბურთელმა ქალმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა:

— კლუბის ხელმძღვანელობას დიდი ხნის განმავლობაში არ უნდოდა ჩემთვის ძირითადი მოთამაშის ხელფასი მოეცა. როდესაც ლიგის ბომბარდირი გავხდი, ფეხბურთის ბიუროკრატებს ძალის პოზიციიდან ველაპარაკე.

### „ღმერთის მოადგილე“ ბრუნდება

კანადელი მიმომხილველები იმედს გამოთქვამენ, რომ ჰოკეისტთა ნაკრების სათავეში ცნობილი პატერ ბაუერის დაბრუნება ამ გუნდის ყოფილი ძლიერების აღორძინების დასაწყისი იქნება.

აი, რას წერს კანადის ჰოკეის ასოციაციის პრეზიდენტი იგტონი: „მას შემდეგ, რაც რუსებმა რამდენიმე სასტიკი მარცხი გვაგემეს, მაყურებლები ძალიან დაგვაკლდა. კლუბები მეტისმეტად დაზარალდნენ. ახლა თუ ვინმე გვიშველის, მხოლოდ მაღალი ღმერთი და მისი მოადგილე დედამიწაზე პატერ ბაუერი“.

### სახელის გატეხას...

ინგლისში ყოველწლიურად ტრადიციული შეჯიბრება ეწყობა ფერგიუსონის თასზე კანოეში. მისმა ორგანიზატორებმა „პერსონა ნონ გრატად“ გამოაცხადეს ინგლისის რადიო-ტელევიზიის კომპანიის ბი-ბი-სის კორესპონდენტი კრის ლუისი. ეს იმიტომ მოხდა, რომ ერთ-ერთი გაცურვის დროს ნიჩბოსნები აღშფოთდნენ კორესპონდენტის უტაქტო შენიშვნებით, გამოიყვანეს იგი ლოჟიდან და თავით სამჯერ ჩაუშვეს წყალში.

### რინგის გლადიატორები

როგორც ევროპის პროფესიონალ მოკრივეთა კავშირის შტაბბინის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, ამ მომენტში კონტინენტის 16 ქვეყანაში 1246 „რინგის გლადიატორია“. დიდ ბრიტანეთს 392 პროფესიონალი მოკრივე ჰყავს, იტალიას — 308, საფრანგეთს — 171, ესპანეთს — 162, გფრ-ს — 56, ბელგიას—55, იუგოსლავიასა და ლუქსემბურგს — 18-18, ჰოლანდიას — 16, შვეიცარიას — 13, ავსტრიას — 12, პორტუგალიას — 8, დანიას — 7, ნორვეგიას — 6, ფინეთსა და თურქეთს — 2-2.

### „ორიგინალური ილეთი“

რიო-დე-ჟანეიროს მოჭადრაკეთა საზონათშორისო ტურნირში გულშემატკივრები ისე ხმაურობდნენ, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებს ნამდვილი თავსატეხი გაუჩინეს. მაშინ ორგანიზატორებმა ასეთ „ილეთს“ მიმართეს — სატურნირო დარბაზიდან მაქსიმალურად დაშორებულ ადგილებში გულშემატკივრებს იაფად ასმევდნენ ღვინოსა და ყავას, ოღონდაც ისინი „ბრძოლის ველიდან“ გაეტყუებინათ.

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მე-3 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6-49“-დან:**

**პირველი:** 4 (ალპინიზმი), 9 (ჭიდაობა), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 36 (სლალომი), 37 (სროლა), 45 (თეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა — 47 (ბურთიანი ჰოკეი).

**მეორე:** 5 (ბადმინტონი), 7 (ბიატლონი), 23 (მძლეოსნობა), 31 (ცურვა), 34 (ხელბურთი), 35 (სპიდვეი), შეღავათიანი ბურთულა — 6 (კალათბურთი).

**„სპორტლოტო 5-36“-დან:**

**პირველი:** 11 (ტანვარჯიში), 17 (ციგურები), 21 (აფროსნობა), 31 (ძალოსნობა), 36 (შაიბიანი ჰოკეი).

**მეორე:** 8 (საგზატკეცილო ველორბოლა), 10 (ფრენბურთი), 11 (ტანვარჯიში), 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 31 (ძალოსნობა).

## მხიარული ფანქრით



უსიტყვოდ.

ა. ოქროპირიძის ნახატი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 02041